სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

28/05/2025

MES 5 25 0000588598

ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის საფაკულტეტო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის №01-05-04/06 დადგენილების, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 6 მაისის გადაწყვეტილების "საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის შესახებ" (ოქმი №3) და ფაკულტეტის დეკანის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ან ე ბ:

1. ნიკო ნიკოლაძის სახელობითი საფაკულტეტო სტიპენდია 2025 წლის პირველი მარტიდან 2025 წლის პირველ აგვისტომდე ხუთი კალენდარული თვის განმავლობაში თვეში 200 ლარის ოდენობით დაენიშნოს **ლუკა ჭანტურიას** ( );
2. დავით სარაჯიშვილის სახელობითი საფაკულტეტო სტიპენდია 2025 წლის პირველი მარტიდან 2025 წლის პირველ აგვისტომდე ხუთი კალენდარული თვის განმავლობაში თვეში 200 ლარის ოდენობით დაენიშნოს **ლუკა ნადიბაიძეს** ( );
3. ბრძანება გამოიკრას ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი